ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ქ.ამბროლაური 2018 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი სახით და მეორე მხრივ, ------- ' (შემდგომში ,, მიმწოდებელი''), წარმოდგენილი ------სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,მიმწოდებლის'' ------ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ''(შემდგომ - ,,ხელშეკრულება'') - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაშია მინიშნებული;

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ ''შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,, სამუშაო'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია CPV 55500000 ,, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით მომსახურების'' შესყიდვა.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მომწოდებელი ვალდებულია:

ა. შემსყიდველის მიერ გადაცემული სიისა და მენიუს შესაბამისად მუნიციპალიტეტში მცხოვრები, საშუალოდ 55 უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე ყოველდღიურად უზრუნველყოს ერთჯერადი კვებით და სანიტარულ ჰიგიენური მომსახურებით, გარდა კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული დასვენების დღეებისა.

ბ. საკვები პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლები, ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და კალორიულობის თვალსაზრისით, უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს.

გ. მოსარგებლე კონტიგენტის ყოველდღიური აღრიცხვის მიზნით აწარმოოს აღრიცხვის ჟურნალი მათივე ხელმოწერის დადასტურებით.

დ. ბენეფიციარის ზედიზედ ორჯერ კვების ობიექტში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს შემსყიდველს.

ე. განათავსოს მენიუ სასადილო ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

ვ. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

ზ. ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში წარმოადგინოს ცნობა მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

თ. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლისა გადახდაზე.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა. უზრუნველყოს კეთილმოწყობილი სასადილო ფართის გამოყოფა.

ბ. ყოველი თვის დასაწყისში გადასცეს მიმწოდებელს ბენეფიციართა სახელობითი სია.

4.3 შემსყიდველის მიერ მიწოდებული ნებისმიერი ქონების მათ შორის ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემა არ იწვევს მიმწოდებელის საკუთრების უფლების წარმოშობას აღნიშნულ ქონებაზე. მიმწოდებელი პასუხს აგებს ქონების დაცვაზე და მისი გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ გადაცემულ ქონებას აბრუნებს იმავე მდგომარეობაში როგორშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი საკვებ პროდუქტებსა და კერძებზე, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

6.მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ---------- ჩათვლით.

6.2 მიწოდების ადგილია ქალაქი ამბროლაური. კობახიძის ქუჩა N 3.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტით.

8. ანგარიშსწორება

8.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

8.2 მიმდინარე ანგარშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 თითოეულ ეტაპზე შესრულების მიღებასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა)წერილობითი მოთხოვნა.

ბ)ხარჯთაღრიცხვა.

გ) ბენეფიციართა სახელობითი სია კვების დღეების რაოდენობის მითითებით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლების მიერ.

9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირს.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

12.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4 ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

13.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

13.3 მიმწოდებლის მიერ ვადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა განიხილება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.4. შემსყიდველი ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების

თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთაშორის წარმოქნმნილი სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2018 წლის ------მდე.

17. დამატებითი პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“;

18. რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11 ს/კ 222938490 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 ამბროლაურის მერი	